



თელავის მუნიციპალიტეტის მერია
CITY HALL OF TELAVI MUNICIPALITY

საქართველო, ქალაქი თელავი, 2200 ერეკლე II გამზ. #16 ტელ: 0350273106, ფაქსი: 0350272300
Telavi, Georgia 16 Erekle II str. 2200, Tel: 0350273106, fax: 0350272300 E-mail: info@telavi.gov.ge

N 7388
10/12/2019

7388-08-2-201912102142



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ არჩილ თხლაშიძეს

ბატონო არჩილ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 91-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი 78-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, წარმოგიდგინებ თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესწორებულ ვარიანტს და პრიორიტეტების დოკუმენტს.

თქვენი, 2019 წლის 25 ნოემბრის #205 წერილში 2020 წლის ბიუჯეტის პროექტთან შემუშავებულ შენიშვნებთან და ინიციატივებთან დაკავშირებით განგიმარტავთ შემდეგს:

ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 1, 3, 4, 12, 15, 16, 17, 24, 26, 27, 31 და 37 პუნქტები. შესასწავლია და განსახილველია 2020 წლის 01 იანვრისთვის არსებული თავისუფალი ნაშთის განაწილებისას პრიორიტეტების მიხედვით 7, 8, 14, 18, 19, 21, 23 და 25 პუნქტები. 6 და 9 პუნქტებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მისაღება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ერთად. მე-11 პუნქტზე საჭიროა კონსულტაციები შსს-თან ერთად შემდგომი გადაწყვეტილების მისაღებად.

რაც შეეხება სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებებისათვის თანხის ზრდის ინიციატივას (მე-20 პუნქტი), ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, რადგან პროექტში გათვალისწინებული თანხა საკმარისია აღნიშნული ღონისძიების განსახორციელებლად. აგრეთვე, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის ზრდა (22-ე პუნქტი) ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ვინაიდან აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია ამხანაგობის მომართვიანობაზე და მათ მიერ წამოჭრილი პრობლემური საკითხების შესწავლის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომლის დაფინანსების ზრდის საკითხი წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნება გადაიხედოს.

მე-10 პუნქტით გათვალისწინებული ინიციატივა - სოფ.ლეჩურში ამბულატორიის ახალი შენობის აშენება, მისი დაფინანსების საკითხის განხილვა შესაძლებელია მას შემდგომ, რაც

განხორციელდება 2020 წელს გათვალისწინებული სოფ.ვარდისუბნის და სოფ. ართანის ამბულატორიების შენობების მშენებლობა და სოფ.კონდოლის ამბულატორიის რეაბილიტაცია.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას ეცნობა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე საკომუნიკაციო ჭები მოიყვანოს სტანდარტებთან შესაბამისობაში. (მე-5 პუნქტი)

მას შემდეგ რაც განისაზღვრება თუ რა თანხაა საჭირო ე.წ. იორდანეს წყალთან არსებული კედლის მოსამზადებლად, street art-ის ფარგლებში მოხატვის მიზნით, შესაძლებელია განხილულ იქნას მისი დაფინანსების საკითხი. (მე-2 პუნქტი)

38-ე პუნქტით გათვალისწინებული ინიციატივა (თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების მუხლში თანხის ზრდას) საჭიროებს კონკრეტიზაციას.

34-ე და 35-ე პუნქტებით გათვალისწინებული ინიციატივები დაფინანსდება სოციალური მიმართულებით ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში. 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტებით დახმარების პროგრამაში გათვალისწინებული თანხა გაზრდილია 2019 წლის ბიუჯეტის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში.

30-ე და 32-ე პუნქტებით გათვალისწინებული შენიშვნები, დაფინანსების შემცირების მიმართულებით, გათვალისწინებულია.

28-ე პუნქტით გათვალისწინებული ინიციატივა - ა(ა)იპ თელავის კულტურის და დასვენების პარკი „ნადიკვარი“-ს თანამშრომელთა ხელფასების ზრდა, შესაძლებელია განხილულ იქნას მათი საკუთარი შემოსულობების მობილიზების გათვალისწინებით.

ამ ეტაპზე 13, 29 და 36 -ე პუნქტით გათვალისწინებული საკითხების დაფინანსება ვერ განხორციელდა.

რაც შეეხება 39-ე პუნქტით გათვალისწინებულ შენიშვნას განვმარტავთ, რომ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულია ინფორმაცია, რომელსაც უნდა მოიცავდეს ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის პროექტი, აღნიშნული მუხლის შესაბამისად არ ითვალისწინებს შესრულების შეფასების ინდიკატორების მითითებას. ბიუჯეტის პროექტის თანდართულ მასალებში, კერძოდ: პროგრამული ბიუჯეტის დანართში, რომელიც ინფორმაციული ხასიათისაა, მითითებულია შესაბამისი შესრულების შეფასების ინდიკატორები, რასაც ითვალისწინებს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი და პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია.

შოთა ნარეკლიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
თელავის მუნიციპალიტეტის მერია



